# აშშ-სამხრეთ კორეის სტრატეგიული ურთიერთობა ჩრდილოეთ კორეის გამოწვევების ფონზე 21-ე საუკუნეში

ელისაბედ ტრამაკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

# განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელისაბედ ტრამაკიძე

20.06.2026

# აბსტრაქტი

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის თანამშრომლობა აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. 21-ე საუკუნეში, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო შესაძლებლობების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები, რამაც ხელი შეუწყო აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. მიუხედავად არსებული მჭიდრო პარტნიორობისა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შესაძლებლობების ზრდა, ჩინეთის ფაქტორი და სამხრეთ კორეის შიდა პოლიტიკური პოლარიზაცია, ალიანსის ფარგლებში სტრატეგიულ უთანხმოებებს წარმოშობს. კვლევის მიზანია გააანალიზოს აშშ-სამხრეთ კორეის ურთიერთობის ევოლუცია ჩრდილოეთ კორეის მზარდი ბირთვული და სამხედრო გამოწვევების ფონზე და გამოიკვლიოს, თუ რა ძირითადი თანხვედრა და უთანხმოება იჩენს თავს ალიანსში.

კვლევის მანძილზე, აშშ-სამხრეთ კორეის ურთიერთობა კონსტრუქტივიზმისა და შეკავების თეორიების ფარგლებშია განხილული. კონსტრუქტივისტული ხედვა ხსნის სახელმწიფოთა ურთიერთობის მდგრადობას საერთო იდენტობისა და ისტორიული გამოცდილებების ჭრილში, ხოლო შეკავების თეორია აანალიზებს ამერიკის ბირთვული ქოლგისა და გაფართოებული შეკავების ეფექტურობას. კვლევის ფარგლებში, გამოყენებული იყო თვისებრივი მეთოდოლოგია: ოფიციალური დოკუმენტების, აკადემიური ლიტერატურისა და მედიის დისკურს-ანალიზი; პროცესის მიდევნება(Process Tracing) და ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შესაძლებლობების ზრდა და კონტინენტთაშორისი რაკეტების განვითარება ეგზისტენციალურ საფრთხეს ქმნის რეგიონში, რაც აძლიერებს ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიულ კოორდინაციას; თუმცა, პერიოდულად, მთავრობათა ცვლილების

პარალელურად, იზრდება აზრთა სხვადასხვაობა ჩრდილოეთ კორეიდან მომავალ საფრთხეებზე რეაგირების ფორმატზე.

21-ე საუკუნეში აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობა ჩამოყალიბდა მრავალგანზომილებიან სტრატეგიული პარტნიორობად, რომელიც ეფუძნება საერთო უსაფრთხოების ინტერესებსა და ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარე საფრთხეების შეკავებას. ნაშრომი ასკვნის, რომ ალიანსის მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხარეების უნარზე, შეინარჩუნონ სტრატეგიული კოორდინაცია, ურთიერთნდობა და ცვალებად რეგიონულ უსაფრთხოების გარემოსთან ადაპტაციის უნარი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** აშშ-სამხრეთ კორეა, ალიანსი, ჩრდილოეთ კორეა, ბირთვული შეკავება, ვაშინგტონის დეკლარაცია, გაფართოებული შეკავება, გეოპოლიტიკა, კონსტრუქტივიზმი, შეკავების თეორია.

# Abstract

The cooperation between the United States and South Korea constitutes a key pillar of security in East Asia. In the 21st century, North Korea's nuclear and missile development has intensified regional security challenges and contributed to stronger US-South Korea cooperation. Despite the strength of the alliance, North Korea's advancing nuclear program, the strategic influence of China, and domestic political polarization in South Korea have generated periodic divergences in threat perception and response strategies within the partnership.

This study examines the evolution of US-South Korea relations in the context of North Korea's expanding nuclear and military capabilities, and analyzes the main areas of convergence and disagreement within the alliance. The analysis is grounded in constructivist and deterrence theories. Constructivism is used to explain the durability of the alliance through shared identity and historical experience, while deterrence theory is applied to assess the effectiveness of the US extended nuclear deterrence and security commitments.

The research employs a qualitative methodology, including discourse analysis of official documents, academic literature, and media sources, as well as process tracing and semi-structured expert interviews. The findings indicate that North Korea's continued development of intercontinental ballistic missiles and nuclear weapons represents a persistent strategic threat that reinforces alliance coordination. However, shifts in domestic political leadership in South Korea periodically generate differences regarding the appropriate response to North Korean provocations.

Overall, the US-South Korea alliance has evolved into a comprehensive strategic partnership grounded in shared security interests and deterrence objectives. The study concludes that the sustainability of the alliance depends on sustained strategic coordination, mutual trust, and adaptation to an evolving regional security environment.

**Keywords:** US-South Korea, alliance, North Korea, nuclear deterrence, extended deterrence, Washington Declaration, geopolitics, constructivism, deterrence theory.

# მადლობა

მაქვს პატივი გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ნინო ფავლენიშვილს, გამოყოფილი დროის, ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ასევე, მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ლექტორსა და პროფესორს იმ ცოდნისა და გამოცდილებისათვის, რომელიც სწავლის განმავლობაში მათგან მივიღე.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ ბატონი ზურაბ დავითაშვილისა და გიორგი მელაშვილის მიმართ კვლევაში მონაწილეობისა და საკუთარი პერსპექტივების გაზიარებისთვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნაშრომის გაღრმავებას ანალიტიკური თვალსაზრისით.

# სარჩევი


**1. შესავალი** ..... 1

1.1. საკითხის აქტუალობა ..... 1

1.2. ლიტერატურის მიმოხილვა ..... 4

**2. მეთოდოლოგია** ..... 10

**3. თეორიული დისკურსი** ..... 12

**4. აშშ-სამხრეთ კორეის სტრატეგიული ურთიერთობა ჩრდილოეთ კორეის გამოწვევების ფონზე** ..... 17

4.1. ისტორიული ექსკურსი ..... 17

4.2. სამხრეთ კორეის შიდა პოლიტიკური სისტემა ..... 21

4.3. სამხრეთ კორეის ეკონომიკური რეორგანიზაცია ..... 24

4.4. სამხრეთ კორეის უსაფრთხოების გამოწვევები ..... 27

4.4.1. გამოწვევების დაძლევის სამხრეთ კორეული პერსპექტივა ..... 30

4.5. პარტნიორობა ამერიკასთან: სირთულეები და გამოწვევები ..... 31

4.5.1. აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის გაფორმებული დეკლარაციები ..... 35

4.6. ჩრდილოეთ კორეის მდგრადი შიდა პოლიტიკური სისტემა ..... 38

4.6.1. რატომ არ იშლება რეჟიმი ჩრდილოეთ კორეაში? ..... 38

4.7. ჩრდილოეთ კორეა: სამხრეთ კორეის პოლიტიკური სტაბილურობის გამოწვევა .. 40

4.8. ჩრდილოეთ კორეა: აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის არსებული უთანხმოების წყარო ..... 42

4.9. ჩინეთი: სამხრეთ კორეის დამატებითი გამოწვევა ..... 44

4.9.1. ჩინეთის ფაქტორი ორი კორეის დაახლოების გზაზე ..... 47